პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

შაბათი, 31 მაისი 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 5 კაპ. ჩერ.

წითელი არმიელი

№ 512 ჰ. მ. დ. პოლიტ-განყ-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ულს. 85.

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონ ნეკ. ნომპრულის სტრიქონი
სამკლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლო 1 საათამდე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ორშაბათს, 2 ივნისს, საღამოს 6 საათზე სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალოვის სახელობის) დანიშნულია თბილისის საბჭოს სხდომა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. შინა—ვაჭრობის მოწესრიგების საკითხი თბილისში და მის მიზრაში. მომხ. ამხ. **ს. ჯაფელი**
2. სექციების მუშაობის შესახებ მომასენებელი ამხ. ა. **რუხაძე.**
3. მიმდინარე კითხვები.

საბჭოს ყველა წევრებისა და კანდიდატების დასწრება საეალდებულოა.

პრეზიდიუმი.

სამხედრო კორესპოდენტების თათბირი!

კვირას, 1 ივნისს, დილის 10 საათზე გაზეთ „წითელ-არმიელის“ რედაქციის შენობაში (ჯორჯიაშვილის, ყოფ. ბარიატინსკ ს ქუჩა, № 8), დანიშნულია თბილისის გარნიზონში მყოფ ქართულ დივიზიის ნაწილების

პასუხისმგებელ სამხკორების და პარტკორების თათბირი.

დღის წეს რიგი: 1) მოხსენება წითელ-არმიელთა გაზეთების რედაქტორებისა და სამხკორების სრულიად საკავშირო თათბირზე.

2) მიმდინარე კითხვები.

საკითხების დიდი მნიშვნელობის გამო, დასწრება ყველასათვის აუცილებელი და სავალდებულოა.

გზ. „**წითელი არმიელის**“ **რედაქცია.**

განათლების წითელი არმია.

კომუნისტური პარტიის მე-13 ყრილობა დიდი მნიშვნელობის ეტაპია ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების განვითარების ისტორიაში.

მე-13 ყრილობამ თავის გარშემო შემოიკრიბა არა მარტო მუშების და მშრომელი გლეხობის ფართე მასები, არამედ თვით მშრომელი ინტელიგენციაც, სახალხო მასწავლებლობის სახით.

ის აღფრთოვანებული დემონსტრაცია, რომელიც გაუმართა განათლების მუშაკთა ყრილობამ კომპარტიის ყრილობას, ის მისალმებანი რომლითაც მათ მიმართეს საბჭ. კავშ. ღირსეულ „ხელმძღვანელს—კომპარტიას, საუკეთესო მტკიცებაა იმისი, რომ მშრომელმა ინტელიგენციამ სამუდამოთ გასწყვიტა კავშირი ძველ დახავსებულ ქვეყანასთან, თავი გაანება ყოყმანს და საბოტაჟს, ჩასწვდა ოქტომბრის რევოლიუციის დიდ მნიშვნელობაში და სამუდამოთ ეზიარა კომუნიზმს, დადგა პროლეტარული რევოლიუციის და მშრომელთა ხალხის მხარეზე.

„განათლების მუშაკთა მასები არსებულ მომენტს უყურებენ მხოლოდ როგორც მეჩდრო და სრული თანამშრომლობის მომენტს რუსეთის კომუნისტურ პარტიასთან“—ასე სთქვა მასწავლებლების წარმომადგენელმა ამხ. მასლოვმა თავის მისალმებითი სიტყვაში. ეს ისტორიული მნიშვნელობის სიტყვებია, რომლებიც ზედმეტად ლახვარს სცემენ ჩვენს მტრებს და უკარგავენ მათ ყოველგვარ იმედებს.

ეს მორიგი ბრწყინვალე გამოჯვებაა კომუნისტური პარტიის პროლეტარულ რევოლიუციის ფრონტზე.

პარტიამ შესძლო ნდობის და სიყვარულის მოხვეჭა არა მარტო მშრომელთა ფართე მასებში, არამედ თვით მშრომელ ინტელიგენციის შორის.

მშრომელთა გენიალური ბელადის დიდ სამარეზე განათლების მუშაკებმა დასდეს ფიცი, რომ ისინი ხელი ხელ ჩაკიდებულნი კომუნისტურ პარტიასთან ერთად შეებრძოლებიან სიბნელეს, უვიცობის უკულტურობას და წაიყვანებენ მშრომელ მასებს წინ კომუნიზმისაკენ.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ სახალხო მასწავლებლობა და მთელი მშრომელთა ინტელიგენცია ამ ფიცს არ უღალატებს და ღირსეულად შეასრულებს.

ინგლის-საბჭ. კონფერენცია

რეაქციონერები ხელს უშლიან.

ლორდთა პალატაში მეიომ შეიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც ის მოითხოვს ინგლის-საბჭოთა კონფერენციის მუშაობის შეწყვეტას. ამის მიზეზად მას მოყავს საბჭოთა დელეგაციის განცხადება, რომ საბჭოთა კავშირი არ გადადიდის სრულად ომამდე არსებულ ვალებს. ლორდ პარმურმა არ მიიღო რეზოლიუციის მოტივი და განაცხადა, რომ კონფერენცია გაგრძელდება, სანამ არ მოხდება სასურველი შეთანხმება ორივე მხარეს შორის. ხოლო შეთანხმება მოხდება, თუ მოწინააღმდეგეები არ ჩაერევიან საქმეში. პარმური აღნიშნავს ამ ორ მხარეს შორის შეთანხმების დიდ მნიშვნელობას ვაჭრობის აყვავებისა და უმუშევრობის შემცირების საქმეში.

შეთანხმება მიღწეულ იქნება.

„ტან“-ის კორესპონდენტი იუწყება ლონდონიდან, რომ როგორც ინგლის-საბჭოთა უკანასკნელი კონფერენციის საერთო შთაბეჭდილებიდან სჩანს მოლაპარაკება ნელ-ნელა მიდის წინ დადებითი შედეგების განხორციელებისაკენ. მოლაპარაკებაში გამართული დისკუსია გამოარკვევს ყველა სადაო საკითხებს, გაჭიანურებას ყოველგვარ იტვეგს და მიიყვანს ორივე მხარეს შეთანხმებამდი.

კაბინეტის შედგენა გერმანიაში.

მარქსის მიზანი.

კანცლერი მარქსი დიდ ღონისძიებას ხმარობს, რათა შეადგინოს კაბინეტი ფართე კოალიციის საფუძვლებზე.

მარქსი სცდილობს გამოიმუშაოს ახალი პროგრამა საგარეო პოლიტიკაში, რომელიც მისაღები იქნებოდა, როგორც ცენტრის, ისე მემარჯვენეთათვის. ექსპერტთა მოხსენების საკითხი შეტანილ იქნება ახალ პროგრამაში.

„სპეკულიანტების რესპუბლიკა“.

ოთხშაბათს, რეიხსტაგის დილის სხდომაზე ცენტრის წარმომადგენელის ფენერბახის მიერ შემოტანილი წინადადება პრეზიდიუმის არჩევნების გადადების შესახებ, უარყოფილ იქნა ხმის უმეტესობით.

კომუნისტ კენენმა გერმანიის უწოდა „სპეკულიანტების რესპუბლიკა“, მიუთითა პოლიციის ზომებზე პროლეტარიატის წინააღმდეგ და განაცხადა, რომ მიუნხენში დაპატიმრებულმა კომუნისტ დეპუტატებმა ფლორინმა, შლეტმან და ბუხმანმა გამოაცხადეს შიმშილობა. კენელმა წინადადება შემოიტანა კომპარტიის სახელით, რათა სრულიად შეეცვლილ იქნას საალყო წესები და პოლიტიკური რეპრესიები ბავარიაში.

საღამოს სხდომაზე კომუნისტ ბოლემმა კვლავ შემოიტანა წინადადება დეპუტატების განთავისუფლების შესახებ, მაგრამ დამარცხდა. ხმის უმეტესობით გადის სოციალდემოკრატ ლებეს წინადადება საჩქაროდ იქნას არჩეული პრეზიდიუმი.

პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტების არჩევის შემდეგ გამოირკვა, რომ რეიხსტაგმა აირჩია მესამე ვიცეპრეზიდენტად სახალხო პარტიის კანდიდატი, თუმცაღა კომპარტიას, როგორც რეიხსტაგის მეოთხე ძალას უფლება ჰქონდა ამ თანამდებობაზე.

კომფრაქცია კვლავ მოითხოვს წინადადების გარჩევას დაპატიმრებულ დეპუტატების განთავისუფლების შესახებ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ კომუნისტების წინადადება ბათილდება ყველას მიერ—ნაციონალისტების, ტევტონელების, სოციალდემოკრატების და კომუნისტების წინააღმდეგ.

მიღებულ იქნა ლებას წინადადება საკითხის კამისიაზე გადაცემის შესახებ.

„დიქტატურა კომპარტიის წინააღმდეგ“

მარქსის ახალი მთავრობის შემადგენლობის შესახებ ისმის სხვა და სხვა საწინააღმდეგო ხმები, როგორც სჩანს შედგენილ იქნება ბურეუაზიული ბლოკის მთავრობა ნაციონალისტების მონაწილეობით, რომელშიაც არ იქნებიან დემოკრატები.

ახალი მთავრობა დაიწყებს სასტიკ ბრძოლას კომუნისტების წინააღმდეგ. ტრეზეზმანის „ციტ“-ი დაეინებით მოითხოვს „დიქტატურას კომპარტიის წინააღმდეგ“

რადიო ყოველ მხრიდან

ქალების საარჩევნო უფლებები ინგლისში.

„ფორვერტს“-ის ცნობით მუშათა პარტიას წინადადება შეაქვს, რათა მიენიჭოს ქალებს საარჩევნო უფლებები არა 30 წლის ასაკიდან, არამედ 21-დან.

ფვეიცარია.

1.800 მუშის გაფიცვა.

შაფგაუზენის ლითონის ჩამომსხმელ ქარხანაში გაიფიცა 1.800 მუშა. კავშირების ბელადები სცდილობენ ჩაქრონ გაფიცვები, ხოლო კომუნისტები მოითხოვენ გავრცელებული იქნას გაფიცვები ქვეყნის სხვა კუთხეებშიც.

რუმინეთი.

არ ხუმრობენ

რუმინეთის სამხედრო სამინისტრომ გამოაცხადა 1923 წელში გასაწვევ ტელეფონისა და ტელეგრაფის მოსამსახურეების მობილიზაცია ტექნიკურ დარგში სამუშაოდ.

დიდი აფეთქება გუქარესტში.

ბუქარესტიდან მიღებულ ცნობით იარაღის საწყობში მომხდარ აფეთქების გამო, ქალაქის მრავალი უბნები გახეულია ცეცხლის ალში.

მეფის სასახლე ნაწილობრ ჩამოინგრა, ბირეის შენობა განადგურდა, ქალაქის დაზარალებულ ნაწილის მოსახლეობა დაბანაკდა ქალაქის გარეთ ადგილებში. მსხვერპლის რაოდენობა არ არის გამორკვეული.

კორეა.

სრულიად კორეის ახალგაზრდობის კავშირის ყრილობა.

კორეაში დამთავრდა სრულიად კორეის რევოლიუციონური ახალგაზრდობის კავშირის დამფუძნებელი ყრილობა, რომელშიაც მონაწილეობდენ 210 ორგანიზაცია. ყრილობამ დადგინა დაარსოს ახალგაზრდობის რევოლიუციონური კავშირი მოძრაობის ხელმძღვანელობისათვის კორეაში.

დახმარება რურის გაფიცულ მუშებს.

პროფინტერნის კამპანიამ რურის გაფიცულ მუშათა სასარგებლოდ დააგროვა 90.000 მანეთი, რომელიც გადაეგზავნა საგაფიცვებო კომიტეტს.

რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-13-ტე ყრილობა.

გოსპლანის ამოცანები.

ამხ. პრეობრაჟენსკის მოხსენება.

ამხ. კრეჟანოვსკიმ მოხსენებაში გოსპლანის როლის შესახებ აღნიშნა, რომ ლენინი გოსპლანის შემქმნელი ... ...

7-დე ქართული გაერთიანებული მეთაურთა სამხედრო სკოლა

20 მაისს ღამის 2 საათზე თფილისის სამხედრო რკინის გზის სადგურიდან გამოვიდა ჩვენი სკოლა.

21 მაისს შუადღის 12 საათზე ეშალონი გაჩერდა სურამის სადგურზე. სკოლის სამხედრო მუსიკამ და კურსანტების სიმღერამ სურამის მცხოვრებთ გააგებინა ჩვენი ჩამოსვლა. ყოველი ეზოიდან მოდიოდა ხალხი კურსანტების შესახვედრად.

საღამოს 4 საათზედ სკოლა გავიდა სურამიდან სამანაკო ადგილისაკენ ჩვენი ბანაკის მეზობლად არიან: 21 სკოლის რუს კურსანტები, 8 გაერთიანებული სკოლა ადერბეიჯანის და 9 გაერთიანებული სკოლა სომხების კურსანტებისა. დაუახლოვდით 21 სკოლის ბანაკს.

კურსანტები ჩამწკრივებულიყვენ გზაზედ და მიახლოვებისას „ურა-თი“ და მუსიკით შეგეხვდენ. რუსულ „ურა“-ს შეურთდა ქართული ვაშა.

ამ უბრალო სიტყვებით ერთმანეთს ულოცავდით საზიფხულო მეცადინეობის კარგად ჩატარებას და წარმატებას სამხედრო ხელოვნებაში.

ჩვენი ბანაკი. გლეხები აღფრთოვანებით გვხვდებიან.

სულ რამოდენიმე ასი ნაბიჯი და ჩვენი ბანაკის მოედნიდან მოისმის ზურნისა და დუდუკის ხმა.

გვიკვირს, ნუთუ ქეიფობენ ის კურსანტები, რომლებიც ბანაკის შესაკეთებლად იყვენ გამოგზავნილი ჩვენზედ წინ? მაგრამ არა. დაუახლოდით ეზოს და აღფრთოვანების ღიმი გადაგვეკარა ყველას სახეზე. გამოჩნდა წითელი დროშები, რომელსაც მოაფრიალებდენ დარაზმული სოფლის გლეხები. აქ კი ნთელი შეიქნა ყველაფერი. ეს იმ სოფლის გლეხები იყვენ, რომლებზედაც შარშან ჩვენმა სკოლამ „შეფობა“ მიიღო.

შევდივართ ეზოში. ჩვენი მუზიკის ხმა დაჩრდილა გლეხების ზურნის, ტაშისა და ვაშას ხმამ. მშვენიერი იყო ეს სურათი.

სიამოვნებით დავკოცნიდით გლეხებს, რომ შესაძლებელი ყოფილიყო წყობ-ლების დამლა. ყველა ჩვენგანს საამური ერუანტელი უვლიდა მთელ სხეულში.

ვხედავთ ლამაზთ, ერთ ხაზზედ აგებულ თეთრ კარვებს და მასში დაწყნარდენ. დაიკავა ყველამ თავთავიანთი ადგილი. იწყება მილოცვები და მისალმებები. სიტყვა ეკუთვნის ქართული სკოლის კომისარს. ისმის ხმა.

ამხანაგებო. დაიქუხა ბუაჩიძის ხმამ. (რუსულ ენაზე). სკოლის სახელით მივესალმა ახალ ძმირფას სტუმარს. მოიწოდა ოთხივე ერების სკოლებს ერთმანეთში ძმური განუყრელი კავშირი. მოიგონა 1918 წელი.

მენშევიკური საქართველოს განწყობილება სომხეთთან. სისხლის ღვრა და შუღლი. დასასრულს ის ამბობს: გაუმარჯოს ამიერ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ძმურ კავშირს!

ოთხივე სკოლას ესალმება აგრეთვე ამხ. უსპენსკი.

კურს. თელია.

სოფლეგზე მუშაობას უკვე შეუდგეგით.

28 მაისს შესდგა ქ. მ. დ. სამხედრო პოლიტიკური სკოლის კომუჯრედის მორიგი კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხანაგი მიმინაშვილი.

დღის წესრიგში იყო: 1) კავშირის გაბმა ჩვენთან ერთად ბანაკში მდგომ—პარტიულ—სკოლის, სომხეთის და ადერბეიჯანის სკოლის კურსანტებთან, 2) კულტშეფობა სოფლებზე.

პირველი საკითხის შესახებ ილაპარაკა ამხ. ჭკუასელმა. უმთავრესად ის შეეხო, თუ როგორი კავშირის დაპერა შეიძლება ადერბეიჯანელებთან და სომხებთან.

მოხსენება მეტად შინაარსიანი გამოდგა.

მეორე საკითხის გარშემო ლაპარაკობს იოანე ჭკუასელი. ის აღნიშნავს, თუ როგორი ხასიათის დახმარება შეგვიძლია გაუწიოთ ჩვენს მახლობელ სოფლებს. უმთავრესად მოუთითებს ჯზების გაყვანაზე სოფლებში, გლეხებისადმი გაზეთების მიწოდებაზე და სხვა და სხვა მუშაობაზე.

მომხსენებელი შეეხო აგრეთვე გაერთიანებულ მეთაურთა სკოლის უმუყობრო გუნდის კურსანტებთან კავშირის დაჭერას, სადაც მიმაგრებული იქნება კურსანტებთან პოლიტ-საათის და სხვა კულტმუშაობის ჩასატარებლად. მოხსენების შემდეგ კრებამ აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კოლეგია, რომელიც პრეზიდიუმთან ერთად გაამზადებს ქსელს სოფლებთან და აღნიშნულ სკოლებთან.

ლეონავა.

ჟურნალი „ფენიქსი“.

ეურ. „ფენიქსი“ №№ 1—2 ერთად.

(ბესიმე ლეგიონის ლიტ-წრის ორკვირეული ჟურნალი).

კედლის გაზეთების გარდა ჩვენს ნაწილებში გამოდის, აგრეთვე ეურნალებიც, რომელიც უსათუოდ აღსანიშნავია და სასიხარულო.

ეჩთი ასეთთაგანი არის მესამე ლეგიონის ლიტ-წრის ორგანო „ფენიქსიც“. იგი, როგორც გაზეთები ხელნაწერი კი არ არის, არამედ მანქანაზე დაბეჭდილი.

ჟურნალში მოთავსებული წერილები დამუშავებულია დამამაყოფილებლად.

იგი შესდგება 24 გვერდისაგან, სადა, მაგრამ კარგი ყდით.

წერილები და ლექსები, რომელიც მეტად სპარბობს, —რიგზეა დალაგებული და ბევრ საყურადღებო საკითხებს ეხება, როგორცა კრიტიკა და ბიბლიოგრაფიები, შენიშვნები („ნინოშვილის შემოქმედების უმთავრესი ხაზები“, „შენიშვნები“) — რუსთაველის შესახებ და სხვ.

აქ მოთავსებული წერილები, მათ შორის მეთაურიც, დახელოვნებულ ავტორებს ეკუთვნის და ეტყობათ მათ მოზადება, რაც საუკეთესო გარანტია ჟურნალის გაუმჯობესებისათვის მომავალში. მხოლოდ ლექსებს აკლია გასალაშინება, რაც იმედია შემდეგისთვის გამოსწორებული იქნება რედაქციის მიერ. კარგი იყო რომ ჟურნალი დასურათებული ყოფილიყო. დასასრულ არ შეგვიძლია არ უსაყვედუროთ ჟურნალის რედაქტორს ჟურნალის სახელწოდებაზე, რომელიც დაუშვებელია წითელ არმიელთათვის. ამ შემთხვევაში საჭიროა უფრო მისი წოდების სახელის მიცემა.

სანი

ცოტა რამ ჰიგიენაზე წითელ ჯარში.

წ. არმიის ბელადმა ამხ. ტროცკემ სთქვა, თუ არმიის ნაწილებში არის დაცული სისუფთავე, იქ დისციპლინაც იქნებაო.

მართლაც თუ წ. მოლაშქრე არის შეგნებული და იცის თავის მოვალეობა რევოლიუციის წინაშე, მან უნდა იცოდეს თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჯარში ჰიგიენას და საერთოდ სისუფთავის დაცვას. წითელი ჯარების ბელადს სავსებით შეგნებული აქვს ამ გარემოების მნიშვნელობა და სწორედ ამიტომ არის, რომ ის ჯარში სისუფთავის დაცვას უპირდაპირებს მის დისციპლინას. და მართლაც რა დისციპლინის დაცვა შეუძლია ისეთ კაცს, რომელსაც თავისი თავი ვერ გაუსუფთავებია.

ჯარის დისციპლინა მისი ჰიგიენური ცხოვრებით განიზომება. საკმარისია ვიცოდეთ ამა თუ იმ ნაწილის ჰიგიენური ცხოვრება, რომ ვილაპარაკოთ მის ღირსებაზე. განსაკუთრებით დროულად უნდა ჩაითვალოს ამაზე ლაპარაკი ეხლა, როდესაც უკვე იწყება ზაფხულის ძლიერი სიცხეები და ოდნავ გაუფრთხილებლობას ამ მიმართულებით, დიდ და განუზომელი ზარალის მოტანა შეუძლია.

თითეული ნაწილს, თითეულ წითელ არმიელს უნდა აუხსნას, რომ ყოველგვარ უსუფთაობას თან სდევს ათას გვარი გადამდები სნეულებათა გავრცელება როგორც არის პარტიანი სახადი და სხვა. რომ ამ სიშნელეს მოვლენას არ ექნეს ადგილი ჩვენ ჯარის ცხოვრებაში, საჭიროა ამ საკითხს თავის დროზე მიექცეს სათანადო ყურადღება. მართალია სანიტასათი ტარდება ჩვენს ნაწილებში, მაგრამ მე მგონია ეს ვერ აკმაყოფილებს წ. არ. მოთხოვნილებას. საკმარისი არ არის ლექცია წაიკითხო და ამავე დროს მთელი ყაზარმის ეზო ნაკელით იყვეს სავსე. და ამავე დროს წ. არმიელმა არ იცოდეს ფეხის და ხელის სისუფთავის დაცვა.

უკეთესი იქნებოდა მიქცეოდა ყურადღება უფრო პრაქტიკულ მუშაობას ჰიგენას დაცვაში და თუ მეტი დრო დაგვიჩრებოდა მაშინ თეორეტიულათაც მოვამზადებდით წ.-მოლაშქრეებს. ამას გარდა ამ საკითხზედ ცოტა იწერება ჩვენს „წით. არმიელში“. მე წვიკითხე 1-ლ ლეგ. ექიმის ამხ. კოსტავას წერილები, სხვა ნაწილებს კი ჯერ ხმაც არ ამოუღიათ, რაც დანაშაულათ უნდა ჩაითვალოს ჩვენი ექიმების მხრით. კარგი იქნებოდა, რომ ყველა დაინტერესებული და მცოდნე პირები არ დაიზარებენ თავიანთ შრომას და გააცნობდენ ჰიგიენის მნიშვნელობა ჩვენს წით-ჯარის შემადგენლობას.

ს. ლ.

ქართ. დივ. სამხ. ტრიბუნალში.

ოჩაჯერ დეზერტირობისათვის და დაუდევრობისათვის.

შეერთებული სამხედრო სკოლის კურსანტი ელიოზ ბასილაძე ამა წლის 10 მარტს გაიპარა ნაწილიდან სახლში. 25 დღის შემდეგ, 25 მარტს იგი შეიპყრეს და დააბრუნეს ნაწილში. სკოლაში მოსვლისას მას არ აღმოაჩნდა ფარაჯა, შარვალი და და ხალათი. ამ გარემოების შესახებ მან განაცხადა, რომ ნივთები წასვლისას დასტოვა ნაწილში და აღმბათ იქ დაიკარგაო.

6 მაისს ბრალდებული ბასილაძე, ხელმეორეთ მიიპარება სახლში, მაგრამ მას ამატიმრებენ სადგურზე და აძლევენ პასუხისგებაში.

აღნიშნული საქმე ტრიბუნალმა გაარჩია 29 მაისს და მიუსაჯა ბრალდებულ ბასილაძეს ორჯერ დეზერტირობისათვის სამი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა გამასწორებელ სახლში მოთავსებით, სასტიკი იზოლიაციით და ათი მანეთის ქონების ჩამორთმევით. ხოლო სახაზინო ქონების გაფლანგისათვის, რაიც გამოწვეული იყო ბრალდებულის დაუდევრობით, მიესაჯა ექვსი თვით გამასწორებელ სახლში მოთავსება. სასჯელთა შეერთებულ ზომათ არჩეულ იქნა სამი წლით გამსახლში მოთავსება და ათი მანეთის ქონების ჩამორთმევა.

მაგრამ ტრიბუნალმა მიიღო მხედველობაში ბრალდებულის ოჯახური მდგომარეობა, მამის გარდაცვლება და სხვა გარემოებანი და სასჯელი შეუმცირდა ექვს თვემდე თავისუფლების აღკვეთით, გამასწორებელ სახლში მოთავსებით და კონფისკაციის ძალაში დატოვებით.

ახალი ამბები

— **ფოსტა აგარაკებზე.** აგარაკებზე ფოსტის მიმოსვლა მოეწყო ავტომობილებზე და ამის გამო წერილები და სხვა კორესპონდენციები იგზავნება ძლიერ დაჩქარებით.

— **ეკლესია სკოლათ.** ქალ. აღმასკომის დადგენილებით სართიჭალის ქართული სკოლის საჭიროებისათვის გადაკეთებულ იქნება ადგილობრივი ეკლესიის შენობა.

— **წიგნების გავრცელება სოფლებში.** ცეკავშირმა გადასწყვიტა შეიძინოს სახელმწიფო გამომცემლობიდან წიგნები და გაავრცელოს იგი სოფლად, კოოპერატივების საშუალებით.

— **რადიო სადგურები მაზრებში.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ მოაწყო რადიო სადგურები შემდეგ პუნქტებში: სოხუმში, ლაგოდეხში, ახალციხეში და ონში.

— **ტანთ-ვარჯიშობა ჯარში გასაწვევთათვის.** 1 ივნისს ლენინის სახელობის ტანთ-სავარჯიშო მოედანზე ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობისათვის მოეწყობა დიდი ტანთ-ვარჯიშობა

— **მანგლისის კეთილ-მოსაწყობად.** ქალ. აღმასკომმა დაავალა კომუნალურ განყოფილებას მანგლისში წყალსადენის და ელექტრონის სადგურის მოსაწყობად შეადგინოს ხარჯთ-აღრიცხვა.

— **ლენინის სახელობის ფონდი** კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ დაარსებულია ლენინის სახელობის ფონდი, რომლის მიზნია დახმარება აღმოუჩინონ გლეხებს კოოპერატიულ განათლების დარგში და მიიღოს ზომები უპატრონო ბავშვთა უზრუნველსაყოფად.

— **საავთომყოფო საგარეჯოში.** ქალ. აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით სოფ. საგარეჯოში გაიხსნება საავთომყოფო.

— **ჰიდრო ელექტრონული სადგური აბაშაში.** აბაშის ჰიდრო ელსადგურის ფონდის გასაძლიერებლად თფილისში, ქუთაისში, ბათუმში, ფოთში, სოხუმში და ზუგდიდში დაარსდა დამხმარე კომიტეტები.

— **წ-კ. უცოდინარობის ლიკვიდაცია ბორჩალოში.** ბორჩალოს მაზრის 5 სოფელში და ქალ ზაუბინაში დაარსდა წ-კ. უცოდინარობის საალიკვიდაციოთ სკოლები, როგორც ვაჟთათვის ისე ქალთათვის.

ხელოვნება.

— **დიდი საღამო-სეირნობა.** 1-ლ ივნისს ახალი კლუბის ბაღში გაიმართება დიდი საღამო-სეირნობა ჟურნალ „კავკასიონის“ ფონდის გასაძლიერებლათ.

— **ხალხური სიმღერების საღამო.** 1-ლ ივნისს სახ. ოპერის თეატრში გაიმართება ქართული სიმღერების საღამო. საღამოზე მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს ყველა კუთხიდან მოწვეული მომღერლები.

— **ბაქოს მუშათა თეატრი.** დღეს რუსთაველის თეატრში გაიმართება ბაქოს მუშათა თეატრის უკანასკნელი გასტროლი.

— **ინტერნაციონალური საღამო.** კვირას, ჩოდრიშვილის და კეცხოველის სახელობის კლუბში საქველმოქმედო მიზნით გაიმართება ინტერნაციონალური საღამო.

კომპლექსიური მეთოდით სწავლება ჯარში*).

(გაგრძელება)

ბოლოს მასწავლებელი განმარტავს რომ გარდა ფიზიკური შრომისა არსებობს კიდევ მეორე სახის შრომა—გონებრივი; აქ მასწავლებელი ხსნის შრომის ამ სახის აუცილებლობას და მის დამოკიდებულებას ფიზიკურ შრომასთან.

შემდეგ მასწავლებელი შეუდგება კითხვისა და წერის პროცესის განვითარებისათვის მუშაობას; როგორც კითხვაში, ისე წერაში მასალას მჭიდრო კავშირი უნდა ქონდეს საერთო თემასთან. მაგ. წერისათვის კარნახი: „ყველა ვალდებულია იშრომოს, უშრომლად არავის აქვს არსებობის უფლება. ქვეყანა შრომის ნაყოფით ცხოვრობს, სოფლის მშრომელი გლეხია, ქალაქის მუშა. დღეს ევროპაში არსებობს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი შრომის კაპიტალიზმისაგან გასანთავისუფლებლად“. შემდეგ მასწავლებელი წააკითხვებს ნაკარნახევს რამოდენიმე მოწაფეებს, რომ დარწმუნდეს რამდენათ სისწორით დასწერეს კარნახი.

დასასრულ სასურველია აგრეთვე ენის განვითარების მიზნით გიმართოს საუბარი წაკითხული მასალის შინაარსის მიხედვით წითელ არმიელთა საკუთარი მოგონებიდან და დაკვირვებიდან,

სასურველია აგრეთვე მოყვანილ იქმნას თანამედროვე ხალხური პოეზიიდან, როგორც მუშის ისე გლეხის შრომის ჰიმნები: მუშის:

„გავახუროთ რკინა ცეცხლზე,
მაგრათ დავცხოთ გრდემლსა კვერი
ზედ ფოლადი დავადნოთ რომ არ-
ჩნდეს მას ნაკერი.

——

დაულოცოთ მას მარჯვენა ვინც ქვეყანა ააშენა

და თვის ოფლით მრავალფერად მოქარგა და დაამშვენა. და სხვა.

გლეხის შრომის ჰიმნები: გუთნის ლექსი“ „ნამგალო ჩემო ყანაო“ და სხვა ხალხური ლექსები.

კითხვის პროცესისათვის მასწავლებელი მოწაფეებს წააკითხვებს ხსენებულ მასალას „შრომისაკენ“, რომლის შინაარსი შემდეგია: „შაქრო ჯერ კიდევ ოცი წლის არ იყო, როცა სოფლის ძმა ბიჭებთან ერთად ქიათურაში წავიდა სამუშაოთ. მთელი ზამთარი მაღაროებში გაატარა. როცა ზაფხული დადგა, აიღო ანგარიში და შინ დაბრუნდა.

ოჯახისათვის საკმაო ჭირნახული უნდა მოეყვანა. მოსავლის მოწვევის შემდეგ ისევ ქიათურას მიაშურა“.

ხსენებულ მასალას ჯერ კითხულობენ ჩუმათ ჯგუფობრივ, შემდეგ კი ხმა მაღლა წააკითხვებს რაოდენიმე მოწაფეს ცალ-ცალკე,

მეხსიერების განვითარებისათვის, მასწავლებელი რამოდენიმე მოწაფეს მოაყოლებს ზეპირათ, თავისი სიტყვით წაკითხული შინაარს.

ჩვენ, რასაკვირველია, აქ დეტალურათ არ შეეეხებით გაკვეთილის მიდგომის წესს, ეს ძალიან ბევრ დროს და ადგილს წაგვართმევდა, პედაგოგიური ხერხი, გაკვეთილის მიდგომა და საერთოდ დეტალიზაცია ეს ხომ საერთოდ მასწავლებლის საქმეა; ჩვენ მხოლოდ ზოგადათ შევეხეთ მთავარ თემას—„შრომას“ და დასახული მიზნების განხორციელებას.

თუ რამდენათ მტკიცეთ შეითვისებენ წითელ არმიელები ზემოთ მოხსენებულ გაკვეთილის მიზნებს, როგორც ანგარიშიდან, ისე სხვა დარგიდან, ეს დამოკიდებულია ისევ და ისევ მასწავლებლის ოსტატობაზე.

მასწავლებელი.

*) იხ. „წით. არ“. № 511.

სამხედრო საქმე

ქიმიური ომი მომავალში.

„წითელ-არმიელის“ ფურცლებზე არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ის განსაკუთრებული ყურადღება, რაიცა მიქცეულია მსოფლიოს დიდ სახელმწიფოების მიერ ქიმიურ საბრძოლო საშუალებათა ახალ-ახალ აღმოჩენისაკენ. თვით ქიმიურ მომავალ ომის ამოცანები იმდენათ ბუმბერაზია, რომ ოცნებათა და ფანტაზიათ არ ჩაითვლება ინგლისელ ერთი ოფიცრის მიერ წარმოდგენილი სურათი მომავალი ომისა: „აირების გამონახვის ვითარებაში,—ამბობს ინგლისელი ოფიცერი,—ისეთ აირებს, რომელთა წინააღმდეგ უძლურნი იქნებიან ყველა ამ ჟამად არსებული აირის საწინააღმდეგო ნიღაბები, ადამიანის გონება მიისწრაფვის გამონახოს ისეთი ნივთიერება, რომელიც (დაზიანებს ადამიანის სხეულის წონასწორობის გამგე ორგანოს, ნახევრად-რგვალ არხებად წოდებულთ და სმენის ორგანოს შიგნითა ნაწილში მყოფ.

წარმოვიდგინოთ ჩვენ, რომ მოწინააღმდეგის ჯარი მოხვდა ამგვარ ქიმიურ ნივთიერებით მოწამლულ მისადგილარში. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ნივთიერებანი მოქმედებენ სმენის ორგანოს არხების სითხეზედ. მთელი ჯარი თითქოს დაითვრება, ხალხი პარპაცს იწყებს და წინ მოძრაობა არ შეუძლია“.

ცხადია, ამისთანა ჯარი ბრძოლის უნარ-მოკლებულია და იგი უნდა დაიღუპოს.

ფრანგ პოლკოვნიკ ლოტს მომავალი წარმოდგენილი აქვს როგორც ტეხნიკის უაღრესად განვითარებული მიღწევანი. ჯარის საჩდლობა იმყოფება ბიუროში გენერალურ შტაბის ოფიცრებით, რომელნიც იდგებიან რა ბუმბერაზ კლავიშებთან ხელსაწყოს წინაშე, გააგზავნიან ელექტრონის „საშუალებით განადგურებას და სიკვდილს, ბუმბერაზი ზარბაზნების მოქმედებით ან უმფრინავო ჰაეროპლანებით. მოწინააღმდეგის მსხვილ ცენტრებში გადასროლილ გრანატებით ან ყუმბარებით შხაჭიანი ნივთიერებანი მის ტერიტორიის დიდ სივრცეიდან აღგვიან ცხოვრების ყოველ-გვარ ნიშან - წყალს, იგინი დაადუნებენ ცხოვრებას ქვეყნის შიგნით, სამხედრო ქარხნებს შეუშლიან მუშაობას, დაარღვევენ არმიისათვის სურსათ-სანოვაგის და ჭურვების მოწოდებას და ამით, უბრძოლველად, დეზორგანიზაციასა და დაშლას გამოიწვევს ჯარში.

ხხამანი აირი თანამედროვე ომის ჩვეულებრივი იარაღი იქნება. ის სახელმწიფო, სადაც იქნება უაღრესად განვითარებული მშვიდობიან დროის ქიმიური მრეწველობა, მით იგი უაღრესად იქნება მომზადებული ამ მომავალ ომისათვის და სწრაფად და უმტკივნეულოთ შეიძლება გადასვლა მშვიდობიანიდან საომარ ქიმიურ მრეწველობაზედ, საჭიროარ იქნება ქიმიურ საომარ ნივთიერებათა არსენალების ქონა. ქიმიური საღებავი ქარხანა, ქიმიკოსის სურვილისამებრ, სამხედრო არსენალად შეიძლება გადაიქცეს. ამგვარად იყო დაყენებული საქმე წარსულში გერმანიაში.

გ. ბ—შვილი.

უფლებიანობა და ტანჯვა

როგორ იღებენ კინო-სურათებს ფუალ ქვეშ.

კინო ტეხნიკის მიღწევები თანდათან აფართოებენ კინემატოგრაფის გამოყენების არეს. კინო სურათის გადამღები დასწვდა ზღვისა და მდინარეების ძირს და იქაური ცხოვრებაც ადვილი შესასწავლი შეიქნა ყველასათვის. ზღვის ძირის და საერთოდ წყალ ქვეშა ცხოვრების განხილვას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. ეს სულ ახალი საქმეა და მისი მნიშვნელობა უფრო განუზომელია მომავლისათვის. პირველი ცდა წყალ ქვეშ სურათის გადაღების მიმართულებით მოხდა ამ 20 წლის წინათ, ცდამ პირველადვე ნაყოფიერი შეიქნა მეტად საინტერესო სურათები იქნა მიღებული, მაგრამ მაშინ ძნელი იყო ასეთი მუშაობის წარმოება. ამისათვის არ მოიპოვებოდა სათანადო ტეხნიკური საშვალებანი და ამიტომ სურათების გადაღება ხდებოდა მეტად ძმიმე პირობებში.

ეხლა კი წყალ ქვეშა კინემატოგრაფიის ტეხნიკა საგრძნობლად არის გაუმჯობესებული, განსაკუთრებით ადვილია ეს ამერიკაში. ძმებ ვილიამსონების გამო გონებამ სრულიად გაადვილა ეს საქმე. ვილიამსონებმა ამ მიზნით ააშენეს განსაკუთრებული ნავი, რომლის ძირიდან ქვეშ ზღვის სიღრმეში მოემართება მილი. მილის კედლებში წყალი ვერ შედის. უმთავრესი თვისება მილისა იმაში გამოიხატება, რომ ის სურვილისამებრ შეიძლება დავამოკლოთ და კიდევაც დავაგრძელოდ. შემდეგ ის მილი თავდება ერთგვარი კამერით სადაც თამამად შეუძლია კინო სურათის გადამღებს მოთავსდეს თავისი აპარატათ (კინემატოგრაფი)

მილის ერთი კედელთაგანი წარმოადგენს სქელ შუშას. ნავზე გარდა სხვა და სხვა საჭირო იარაღებისა მოთავსებულია აგრეთვე ელექტრონის მანქანა. მანქანა აწვდის წყალში ჩაშვებულ პროჟექტორს ელექტრონის ჩქერს. პროჟექტორი ისეთი ძლიერია, რომ მისი განათება კამერის შუშაინი კედლის წინ ბევრად უფრო ძლიერია დღის სინათლეზე.

გამომგონებლებმა თავის ნავს უწოდეს ფრანგ მწერალ „ჟიულ ვერნის“ სახელი, რომელმაც თავის ერთ ფანტასტიურ რომანში „20 ათასი მილი წყალ ქვეშ“ აღწერა წყალ ქვეშა ცხოვრება.

მეესამე ექსპედიცია ევერესტზე

ევერესტი უმაღლესი მთაა მთელი დედა მიწის ზურგზე არსებულ მთებს შორის ეს მწვერვალი ამართულია ცენტრალურ აზიაში ⅔ ვერსის სიმაღლეზე. მისი შესწავლა და მით უმეტეს მასზე ასვლა მეტად აინტერესებს მოგზაურებს. რამოდენიმეჯერ უცდიათ ამ უზარმაზარი მთის მწვერვალზე ასვლა, მაგრამ უშედეგოდ. წელს მარტში მესამედ გაემგზავრა ევერესტზე ექსპედიცია ბენერალ ბრაუსის მეთაურობით. 1922 წელში მეორე ექსპედიცია გაემგზავრა მთაზე ამავე ბრაუსის მეთაურობით. დიდი გაჭირვების შემდეგ მან მიაღწია ისეთ ადგილს, საიდანაც 600 მეტრი უკლდა მწვერვალამდე, მაგრამ აქ მისი მხლებელების დახოცვის შემდეგ ის იძულებული შეიქნა უკანვე დაბრუნებულიყო. წელს მეორედ გაემგზავრა ბრიუსი. ბრიუსი 58 წლისაა. 33 წელი უმსახურია ინდოეთში და ზედმიწევნით აქვს შესწავლილი მთელი გიმალაიის მთები. ექსპედიცია მოეწყო ინგლისური ალპიური კლუბისა და სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების ინიციატივით. შესდგება 13 ინგლისისა და გადამზიდავთა ძლიერი რაზმისაგან. წელს ექსპედიცია გაემგზავრა უფრო ადრე ვინემ წინად რადგან გამოანგარიშებული აქვთ მიაღწიონ მიზანს მთებზე სამხრეთ აღმოსავლეთის ძლიერი ქარების დაწყებამდე

შეიხ.

დავკარგე სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტეხნიკური ფაკულტეტისაგან გაცემული პირადობის მოწმობა შალვა სოლ. სირაძეს სახელობაზე ჩაითვალოს გაუქმებულად.

გაზეთ „წითელი არმიელის“ რედაქციაში მიიღება ხელის მოწერა

ყოველდღიურ სამხედრო გაზეთ

„პრასნაია ზვეზდა“-ზე

სამხედრო ნაწილები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოიწერენ ერთი მისამართით 28 ც. გაზეთს სამი თვით (ან 15 ც. 6 თვით, 10 ც. 9 თვით) **მიეცემათ უფასო დამატება: მხატვრული კრებული—ალბომი „დიადი საფლავთან“** მიძღვნილი **ვ. ი. ლენინის** ხსოვნისადმი.

ხელის მოწერა მიიღება ყოველი თვის პირველ რიცხვებში.

გაზეთის ფასი:

1 თვით—1 მანეთი, 3 თვით—2 მანეთი 75 კაპ., 6 თვით—5 მან. 25 კაპ., 9 თვით—7 მან. 75 კაპ., ერთი წლით—10 მ.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 800 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჩანტლაძე